ევროპის
უნივერსიტეტი

სამოქმედო გეგმის

წლიური ანგარიში

2024-2025

სარჩევი

შესავალი 2

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მეთოდოლოგია 4

სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მოკლე შეჯამება 6

სამოქმედო გეგმის დეტალური პროგრესი პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით..... 11

პრიორიტეტული მიმართულება 1. უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება 11

პრიორიტეტული მიმართულება 2. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება 17

პრიორიტეტული მიმართულება 3. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა 20

პრიორიტეტული მიმართულება 4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება 25

პრიორიტეტული მიმართულება 5. სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება 28

პრიორიტეტული მიმართულება 6. უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება 36

დანართი 39

შესავალი

ევროპის უნივერსიტეტი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში 2012 წელს გამოჩნდა და საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მზარდ კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს. უნივერსიტეტი აერთიანებს 5 ფაკულტეტსა და 22 საგანმანათლებლო პროგრამას.[1]

უნივერსიტეტი არის ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა:

- სტუდენტზე ორიენტირებული, ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზება;
- ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;
- სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება;
- საქართველოში ცოდნის საზოგადოებასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა და საკუთარი წვლილის შეტანა;
- კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებით, ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თვითრეალიზებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა;
- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების უზრუნველყოფა, ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემისა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა

ევროპის უნივერსიტეტი არის ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის დამფუძნებელი და ფლობს საკუთარ, „ჯო ენის“ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალსა და სტომატოლოგიურ კლინიკას „EU DENT“-ს, სადაც უნივერსიტეტის მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს პრაქტიკული მეცადინეობები დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ უტარდებათ. უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 500 სტუდენტისთვის განკუთვნილი საერთო საცხოვრებელი.

უნივერსიტეტი წარმატებით თანამშრომლობს წამყვან კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. უნივერსიტეტი არის ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) წევრი, GUNI-ს ინოვაციური ქსელის ინსტიტუციური წევრი, ასევე ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE), ევროპის საერთაშორისო განათლების ასოციაციის (EAIE), ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE), ევროპის სტომატოლოგიური განათლების ასოციაციის (ADEE), ევროპის სამეცნიერო ღონისძიებათა ასოციაციის (EUSEA),პროგრამირების ასოციაციის (ACM) აკადემიური, სამეცნიერო ღონისძიებათა

[1] შენიშვნა*- ვინაიდან ევროპის უნივერსიტეტის 2019–2025 წლების სტრატეგიის მოქმედების ვადა 2025 წლის დეკემბერში იწურებოდა, განისაზღვრა 4-თვიანი მოკლე სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეყრდნო მოქმედი სტრატეგიით განსაზღვრულ პრიორიტეტებსა და ამოცანებს.
დოკუმენტის შესავალსა და 2019–2025 წლების სტრატეგიით განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებში ინტეგრირებულია 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით არსებული მაჩვენებლები.

ასოციაციის (EUSEA) , ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაციის (ELFA), ერაზმუს კოორდინატორთა ევროპული ასოციაციის (EAEC) და უმაღლეს განათლებაში გამოყენებითი მეცნიერებების ევროპული ასოციაციის“ (EURASHE) წევრი.

ევროპის უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს და აქტიურად თანამშრომლობს 33 ქვეყნის 119 უცხოურ უნივერსიტეტთან, საიდანაც 67 მდებარეობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ასევე, უნივერსიტეტი ორმხრივ მობილობებს ახორციელებს ერაზმუს+ პროგრამულ 21 ქვეყნის 51 უნივერსიტეტთან.

რუკა #1 ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები



ევროპის უნივერსიტეტი არის ერაზმუს+ ჟან მონეს აქტივობების სამგზის გამარჯვებული და წარმატებით ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს.

ევროპის უნივერსიტეტი ამ ეტაპზე ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ ორ პროექტში მონაწილეობს, როგორც პარტნიორი და კოორდინატორი.

კოორდინატორის სტატუსით უნივერსიტეტს მოპოვებული აქვს ევროკომისიის დაფინანსება პროექტისთვის HEAL - „განსაკუთრებული საჭიროების მქონე პაციენტთა სტომატოლოგიური მომსახურების გაძლიერება და ექიმ-სტომატოლოგთა უწყვეტი განათლების ხელშეწყობა საქართველოში”. უნივერსიტეტს თანამშრომლობას უწევს სამი საერთაშორისო და სამი ადგილობრივი პარტნიორი უნივერსიტეტი:

- სამედიცინო მეცნიერებათა პოზნანის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- სტამბულის აიდინის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- სოფიის სამედიცინო უნივერსიტეტი (ბულგარეთი)
- ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)
- შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)

პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოს უსდ-ებში სტომატოლოგიის სასწავლო პროგრამის კურიკულუმის განახლება ახალი/მოდერნიზებული სასწავლო კურსების მეშვეობით და

საქართველოში ექიმ-სტომატოლოგებისთვის LLL ტრენინგ კურსების შემუშავება და შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს მომავალი და არსებული ექიმი სტომატოლოგების უნარების განვითარებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გაუმჯობესებული სტომატოლოგიური მომსახურებისთვის.

ევროპის უნივერსიტეტს მოპოვებული აქვს ევროკომისიის დაფინანსება ჟან-მონეს მოდულისთვის „ევროკავშირის გაფართოება: წარსულის გაკვეთილები სამომავლო გადაწყვეტილებებისთვის“. პროექტის მიზანია ქართველი ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა აკადემიკოსების ცნობიერების ამაღლება ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკისა და შესაბამისი პროცედურების შესახებ, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი პერსპექტივებიდან, სწავლების, დისკუსიებისა და პრაქტიკული სემინარების მეშვეობით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობა, მათ შორის სამი საზაფხულო სკოლის ორგანიზება და სასწავლო კურსის, „ევროკავშირის გაფართოების ისტორია“, განხორციელება, რომელიც ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირდება. პროექტი ევროკომისიის თანადაფინანსებით სამი წლის განმავლობაში განხორციელდება.

უნივერსიტეტი პარტნიორის სტატუსით ჩართულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანი ინიციატივების საგრანტო დაფინანსების პროექტში „InnovaVet - ვეტერინარული განათლების პროგრამების განვითარება საქართველოში“, რომელიც ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ. პროექტის მიზანია საქართველოს ორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ევროპის უნივერსიტეტის – მიერ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა და გაძლიერება.

უნივერსიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 3 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი და აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი. ინსტიტუტების ფარგლებში გამოიცემა საერთაშორისოდ რეფერირებადი ჟურნალები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი, რომლის ფარგლებშიც აქტიურად ხორციელდება ექსპედიციები. აღნიშნული აქტივობები უზრუნველყოფს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას და მნიშვნელოვანი არტეფაქტების გადარჩენასა და შენახვას

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მეთოდოლოგია

დოკუმენტში წარმოდგენილია 2024-2025 აკადემიური წლისთვის განსაზღვრული ღონისძიებების დეტალური აღწერა და მათი შესრულების სტატუსები უნივერსიტეტის სტარტეგიით (2019-2025) განსაზღვრული ამოცანების ჭრილში.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა 2019 წელს დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, და უნივერსიტეტის მისიასთან და ხედვასთან სრულ ჰარმონიაში განსაზღვრავს უნივერსიტეტის და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების განვითარების ძირითად პრიორიტეტებს.

ევროპის უნივერსიტეტის მიერ მისი მისიის, დეკლარირებული ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად, სტრატეგიულ პრიორიტეტად განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები:

- უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;
- უმაღლესი განათლების პროგრამების განვითარება;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა;
- სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება;
- უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება;

უნივერსიტეტის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიის დოკუმენტს და განსაზღვრავს საანგარიშო პერიოდის ამოცანებსა და მათ მისაღწევად შემუშავებულ ღონისძიებებს. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების ხარისხის შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, მათი ასახვა ძირითად მიგნებებში და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

მონიტორინგის ფარგლებში კვარტალურად ხორციელდება ამოცანების შესრულების პროგრესის და საბოლოო წლიური შედეგების შეფასება. ამ მიზნით, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ თითოეულ პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულსა და პირს ეგზავნება სამოქმედო გეგმის შესაბამისად მომზადებული მონიტორინგის ანგარიშის ფორმა, სადაც აფასებენ მათ მიერ შესასრულებელი ამოცანების შესრულების ხარისხს, წარმოადგენენ შესაბამის ვერიფიკატორებს, ამოცანის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, აიდენტიფიცირებენ მიზეზებს. თვითშეფასების პერიოდის შემდეგ ხდება უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ვერიფიკაცია, ცვლადებსა და ინდიკატორებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრა და ანალიზი. მონიტორინგის პროცესი არის ღია და მიმდინარეობს თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და პროცესებზე პასუხისმგებელი პირის ჩართულობით, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია როგორც საბოლოო, ასევე შუალედური შეფასების ეტაპზე და აქტიურ სამუშაო რეჟიმში წარმოადგინონ საკუთარი ხედვები შეფასებებთან დაკავშირებით.

საბოლოო ანალიზის საფუძველზე ყველა ღონისძიებას ენიჭება შესრულების შესაბამისი სტატუსი: შესრულებულია სრულად, შესრულებულია მეტწილად, შესრულებულია ნაწილობრივ და ვერ შესრულდა. ღონისძიებების შესრულების სტატუსის შესაბამისად შეფასებები ავტომატურად ენიჭება სამოქმედო გეგმის წლიურ ამოცანებს:

• შესრულებულია სრულად - დაგეგმილი ღონისძიებების 90% ან მეტი შესრულებულია;

• შესრულებულია მეტწილად - დაგეგმილი ღონისძიებების 60% ან მეტი შესრულებულია;

• შესრულებულია ნაწილობრივ - დაგეგმილი ღონისძიებების 30% ან მეტი შესრულებულია;

• ვერ შესრულდა - დაგეგმილი ღონისძიებების 30-ზე ნაკლები შესრულდა.

ღონისძიებებს საბოლოო სტატუსებს ანიჭებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის განხილვაზე/შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელიც მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით და რომლის შემადგენლობაშიც შედიან რექტორი, ვიცე-რექტორები,

სტრატეგიული განვითარების სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვისა და იურიდიული სამსახურის უფროსები. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი.

მონიტორინგის ჯგუფი ღონისძიებების სტატუსის მინიჭების დროს ითვალისწინებს ღონისძიებების სირთულეს, მნიშვნელობასა და შესრულების ხარისხს.

წლიური მონიტორინგის ანგარიში განსახილველად წარედგინება უნივერსიტეტის მმართველ საბჭოს. წლიური ანგარიშის საფუძველზე, ჯგუფის რეკომენდაციების/რჩევების გათვალისწინებით, მმართველმა საბჭომ შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება სტრატეგიული განვითარების ან/და სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელების შესახებ, ასევე ანგარიშში ასახული შეუსრულებელი ღონისძიებების შემდგომ საანგრიშო პერიოდის სამოქმედო გეგმაში დამატების შესახებ, თუ ღონისძიების შესრულების საჭიროება ისევ დგას.

სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მოკლე შეჯამება

ევროპის უნივერსიტეტმა 2024-2025 წლის საანგარიშო პერიოდში დასახული მიზნების მიღწევას წარმატებით გაართვა თავი, ამოცანების უმეტესი ნაწილი სრულად ან მეტწილად არის შესრულებული. ასევე, გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეებიც.

2024-2025 წელს სამოქმედო გეგმით 6 პრიორიტეტის მიხედვით გათვალისწინებული იყო 26 ამოცანისა და 140 ღონისძიების შესრულება. ღონისძიებების შესრულების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში 20 ამოცანა სრულად შესრულდა და 6 მეტწილად.საანგარიშო პერიოდში არ იკვეთება ვერ შესრულებული ამოცანა.

დიაგრამა #1 2024-2025 აკადემიურ წელს დასახული ამოცანების შესრულების მაჩვენებელი პრიორიტეტების ჭრილში



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან იკვეთება, არ ფიქსირდება ვერ შესრულებული ამოცანა. მოცემულ სტრატეგიულ მიმართულებით განსაზღვრული ამოცანები სრულად ან მეტწილად შესრულდა. ამოცანების მეტი წილი შესრულება გამოიხატა V პრიორიტეტში, რომელიც გულისხმობს სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარებას და ასევე IV

პრიორიტეტულ მიმართულებაში, რომელიც არის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება.

2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საშუალო დონემ ამოცანების მიხედვით შეადგინა **92%.**

პირველი პრიორიტეტული მიმართულება წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს: უნივერსიტეტის შესახებ სიახლეები პერმანენტულად ვრცელდებოდა ტელე, ბეჭდურ და ონლაინ მედიაში. წინა წელთან შედარებით, გაზრდილია Facebook და Instagram სოციალურ ქსელებში მიმდევრებისა და ვიზიტორების რაოდენობა. შესაბამისად, მაღალი იყო უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების არეალი. უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა ბრენდის განვითარებაზე და პოტენციური საერთაშორისო და ადგილობრივი სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის გაზიარებაზე.

უნივერსიტეტის შესახებ აბიტურიენტებში ცნობადობის ამაღლების მიმართულებით, განხორციელდა რიგი მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიებები. ევროპის უნივერსიტეტის წარმომადგენლები აქტიურად მასპინძლობდნენ ღია კარის დღეს უნივერსიტეტში, ვორქშოფებს/ტრენინგებს ფაკულტეტების ფარგლებში, რაც აბიტურიენტებს საშუალებას აძლევდა ახლოდან გაცნობოდნენ საუნივერსიტეტო გარემოსა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს. ამასთან, აბიტურიენტებისათვის დაგეგმილ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია აგრეთვე, ესეების კონკურსი, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ყველა მე-12 კლასელს აძლევდა მონაწილეობის და უნივერსიტეტის მიერ დაწესებული პრიზების მოპოვების შესაძლებლობას.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტი აქტიურად იყო წარმოდგენილი საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში, რომლებმაც უზრუნველყო საერთაშორისო მასშტაბით პარტნიორების ქსელის გაფართოება და ხელი შეუწყო საერთაშორისო სტუდენტებში უნივერსიტეტის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას.

უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა რიგით მესამე საერთაშორისო კვირეული, სადაც მოწვეული იყვნენ პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლები. უნივერსიტეტი ასევე გახდა 1 ახალი ასოციაციის წევრი.

Times Higher Education-ის Impact Ranking-ის 2025 წლის გამოცემაში ევროპის უნივერსიტეტი აქტიურად პოზიციონირდა საერთაშორისო სარეტინგო პლატფორმებზე და მოხვდა აღნიშნულ რეიტინგში. უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მაჩვენებელი მდგრადი განვითარების მესამე მიზნის მიმართულებით — ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

უნივერსიტეტი მესამე მისიის განხორციელების მიზნით აქტიურად ატარებდა სხვადასხვა სახის სოციალურ ღონისძიებებს. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია უნივერსიტეტის რესურსით საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის პროფესიული განვითარებისკენ მიმართული ტრენინგების შეთავაზება და არქეოლოგიური ექსპედიციები, რომლებიც ემსახურება ეროვნული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის გაღრმავებასა და გამდიდრებას.

მეორე პრიორიტეტული მიმართულება ერთ-ერთი ყველაზე დატვირთულია. უნივერსიტეტის ხარისხის მექანიზმების მხარდაჭერით მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა მუშაობა პროგრამების განახლება-განვითარებაზე, სადაც უნივერსიტეტის პერსონალთან ერთად ჩართული იყო ყველა

დაინტერესებული მხარე. 2024-2025 აკადემიურ წელს უნივერსიტეტმა ყველა მის მიერ წარდგენილ არსებულ და ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღო უპირობო აკრედიტაცია კლასტერის ვადით. ასევე აღსანიშნავია, რომ სააკრედიტაციოდ წარდგენილი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ნახევარზე მეტი ინგლისურენოვანი პროგრამა იყო.

31-მა სტუდენტმა ისარგებლა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამით, ხოლო საერთაშორისო საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართული იყო 200-ზე მეტი სტუდენტი და 80-მდე აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი. გაფორმდა 10 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.უნივერსიტეტი აქტიურად მართვდა Erasmus+ ინსტიტუციური გაძლიერების პროექტებს და ასევე განხორციელდა ახალი პროექტი მომზადება და წარდგენა.

მესამე პრიორიტეტული მიმართულება უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა პრაქტიკული სწავლების ცენტრებისა და ლაბორატორიების განვითარებაზე, მოძიებულ იქნა დამატებითი გარე პრაქტიკის შესაძლებლობები სტუდენტებისთვის. ასევე, დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის შეფასება და შესაბამისი რეაგირებების დაგეგმვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებული გამოკითხვის შედაგად სტუდენტების 85.9% და პერსონალის 94.3% კმაყოფილია უნივერსიტეტთან ზოგადი თანამშრომლობით.

წარმატებით განხორციელდა რიგით მე-5 საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდენენ განათლების ადგილობრივი და საერთაშორისოექსპერტები.

მესამე პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალში ცნობიერების ამაღლებაზე, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გამოწვევას წარმოადგენდა შესაბამის აქტივობებში პერსონალის ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი

.**მეოთხე პრიორიტეტულ მიმართულებასთან** დაკავშირებით, წარმატებით განხორციელდა უნივერსიტეტის როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის აღწერითი ანალიზი, ისე ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების პრიორიტეტების ანალიზი.

ინსტიტუტების ფარგლებში აქტიურად ხორციელდებოდა რეფერირებადი ჟურნალების გამოცემა და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება.

ამასთან, უნივერსიტეტის წარმომადგენლები აქტიურად მუშაობდნენ სტუდენტების წახალისებასა და კვლევით აქტივობებში ჩართულობის გაზრდაზე. ფაკულტეტებზე განხორციელდა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები. უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა, აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდაზე, როგორც საგრანტო პროექტების მოძიების კუთხით , ასევე პროექტების მომზადების კუთხით მათ გადამზადებაზე.

ფაკულტეტზე არსებულ ზოგიერთ სამეცნიერო ინსტიტუტთან მიმართებით გამოწვევას წარმოადგენდა კვლევითი ინსტიტუტების ფარგლებში საგრანტო პროექტების დაფინანსების მოპოვება.

მეხუთე პრიორიტეტული მიმართულება უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში სტუდენტებს გაუზიარდათ 350-მდე ვაკანსია და ჩატარდა რამდენიმე მიზნობრივი

შეხვედრა როგორც სტუდენტებისთვის, ასევე კურსდამთავრებულებისთვის. დამატებით, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის ჩატარდა არაერთი სოციალური და სადღესასწაულო ღონისძიება.

საანგარიშო პერიოდი აქტიური იყო ექსტრაკურიკულარულ ღონისძიებებში სტუდენტების ჩართვის მიმართულებით. უნივერსიტეტის 5 მოქმედი ფაკულტეტის ფარგლებში 2024-2025 აკადემიურ წელს განხორციელდა 170 სტუდენტის ჩართვა ადგილობრივ და საერთაშორისო ხასიათის ექსტრაკურიკულურ ღონისძიებებში.

გამოწვევას წარმოადგენდა სტუდენტურ ბაზაში რამდენიმე მოდულის ჩაშენების პროცესის დასრულება, თუმცა აღნიშნულის გამოწვეული იყო პრიორიტეტების ცვლილების გამო.

მეექვსე პრიორიტეტული მიმართულება საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების,თანამშრომელთა სამსახურიდან წასვლის მიზეზების კვლევა და დაიგეგმა შემდგომი რეაგირებები.

ზემოაღნიშული კვლევის შედეგების მიხედვით, ადმინისტრაციული პერსონალის 95.7% კმაყოფილია უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურით. ამასთან, უნივერსიტეტის ძალისხმევით პროგრამებს შეემატა საერთაშორისო განმახორციელებელი პერსონალი.

ორგანიზაციული კულტურისა განვითარების მიზნით, აქტიურად ხორციელდებოდა თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდისკენ მიმართული ღონისძიებები. აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიხედვით, თანამშრომელთა 90.3% კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილი იყო დამკვიდრებული ორგანიზაციული კულტურით.

უნივერსიტეტი ასევე აქტიურად უზრუნველყოფდა თანამშრომლების მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში. გურამიშვილის გამზირზე ახალი კამპუსისთვის დასრულდა საინჟინრო-საპროექტო სამუშაოები. ამსთან განხორციელდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო, მატერიალური თუ ტექნიკური რესურსების განვითარება.

შეჯამების სახით, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა წლიურ ჭრილში დასახულ მიზნებს თავი წარმატებით გაართვა. ამოცანების/ღონისძიებების უმეტესობა წარმატებით შესრულდა. თუმცა, გამოიკვეთა გამოწვევებიც.

გამოწვევები გამოკვეთილია კვლევითი პროექტების დაფინანსების, აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ პერსონალის ინფორმირების და ზოგიერთ შემთხვევაში, სტუდენტური სერვისების ნაწილში.

პროგრეს/კვარტლურ ანგარიშებზე დაყრდნობით მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, გამოწვევები გათვალისწინებულ იქნა მომდევნო აკადემიურ წლის სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესში.

ცხრილი#1 2019-2025 ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგიით გათვალისწინებული სამიზნე ნიშნულები შესრულების პროგრესი[2]

[2] შენიშვნა*- ვინაიდან ევროპის უნივერსიტეტის 2019–2025 წლების სტრატეგიის მოქმედების ვადა 2025 წლის დეკემბერში იწურებოდა, განისაზღვრა 4-თვიანი მოკლე სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეყრდნო მოქმედი სტრატეგიით განსაზღვრულ პრიორიტეტებსა და ამოცანებს.

#	2019-2025 წლების სტრატეგიის გათვალისწინებული სამიზნე ნიშნულები	სამოქმედო გეგმით მიღწეული მაჩვენებლები
1	ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის 80%-ზე მეტი კმაყოფილია და დადებითად აფასებს უნივერსიტეტის საქმიანობას;	უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის 94.4% კმაყოფილია და დადებითად აფასებს უნივერსიტეტის საქმიანობას
2	ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების 80%-ზე მეტი კმაყოფილია და დადებითად აფასებს სასწავლო პროცესს;	ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების 82% კმაყოფილია და დადებითად აფასებს სასწავლო პროცესი
3	ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების 65%-ზე მეტი დასაქმებულია პროფესიის მიხედვით	ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების 65%-ზე მეტი დასაქმებულია პროფესიის მიხედვით
4	აკადემიური პერსონალის სულ მცირე 60% აფილირებულია ევროპის უნივერსიტეტთან;	2024-2025 წლის საანგარიშო პერიოდის მონაცემებით აკადემიური პერსონალის 52% აფილირებულია ევროპის უნივერსიტეტთან
5	უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია	ევროპის უნივერსიტეტში 5 ფაკულტეტის ფარგლებში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტირებულია
6	ევროპის უნივერსიტეტი ახორციელებს სულ მცირე 2 ახალ უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამას;	ევროპის უნივერსიტეტი ახორციელებს 3 ახალ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას
7	უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების სულ მცირე 20% აქვს სახელმწიფო სასწავლო გრანტი;	უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების 20% ვერ ფლობს სახელმწიფო სასწავლო გრანტს
8	ევროპის უნივერსიტეტიდან ადმინისტრაციული პერსონალის გადინების მაჩვენებელი არ აღემატება 10%.	ევროპის უნივერსიტეტიდან ადმინისტრაციული პერსონალის გადინების მაჩვენებელი არ აღემატება 10%-ს.

დოკუმენტის შესავალსა და 2019–2025 წლების სტრატეგიით განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებში ინტეგრირებულია 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით არსებული მაჩვენებლები.

სამოქმედო გეგმის დეტალური პროგრესი პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით

სამოქმედო გეგმის დეტალური პროგრესის თავში გაანალიზდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულება პრიორიტეტული მიმართულებებით მიხედვით.

პრიორიტეტული მიმართულება 1. უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება

დასახული პრიორიტეტის მიღწევისა და პრაქტიკაში განხორციელების მიზნით, 2024-2025 აკადემიურ წელს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყო 4 ამოცანა და 19 ღონისძიება. მოცემულ პრიორიტეტულ მიმართულებაში არ ფიქსირდება ვერ შესრულებული ღონისძიება.

ქვემოთ ამოცანების ჭრილში მოცემულია 2024-2025 აკადემიურ წელს შესრულებული ღონისძიებების აღწერა:

- უნივერსიტეტის ცნობადობისა და მის მიმართ ნდობის ამაღლება

მოცემული ამოცანის მიღწევის მიზნით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაიგეგმა საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებები. განსახორციელებელი ღონისძიებები მიმართული იყო უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდისკენ, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. ევროპის უნივერსიტეტში განხორციელებული სიახლეები ქვეყნდებოდა ონლაინ, მედია პლატფორმებზე სიუჟეტებისა და ნიუსებისა სახით.

ევროპის უნივერსიტეტი მოხვდა Times Higher Education (THE) Impact Rankings-ის 2025 წლის გამოშვებაში. მოცემული სარეიტინგო სია აიდენტიფიცირებს და გამოავლენს უნივერსიტეტებს, რომლებსაც წვლილი შეაქვთ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევაში.



2025 წლის Times Impact Ranking-ის შედეგების მიხედვით, უნივერსიტეტმა შეინარჩუნა საერთო მაჩვენებელი და მოხვდა 1501+ რიგებში. მან შეძლო მაჩვენებლის მნიშვნელოვნად გაზრდა მესამე მიზანში - Good Health and Well - being და 1001+ იდან გადავიდა 601-800 კატეგორიაში. ასევე გასული წლის მაჩვენებელი შენარჩუნდა შემდეგი მიზნებისთვის: სიღარიბის აღმოფხვრა; ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა, შემცირებული უთანასწორობა, მდგრადი ქალაქები და დასახლებები და პარტნიორობა მიზნების მისაღწევად.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 2024-2025 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტის პროფილები შეიქმნა QS TOP Universities და Times Higher Education-ზე, სადაც განთავსდა უნივერსიტეტის შესახებ ამომწურავი ინფორმაციები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ევროპის უნივერსიტეტმა უმასპინძლა რიგით მესამე საერთაშორისო კვირეულს (STAFF WEEK), სადაც წარმოდგენილი იყო 8 ქვეყნის, 11

უნივერსიტეტის 16 წარმომადგენელი. აღნიშნული ღონისძიებები ემსახურება უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებას საერთაშორისო ასპარეზზე და ამასთან საფუძველს უყრის საუნივერსიტეტო კავშირების გაძლიერებას. აღნიშნული მიმართულება უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია და შესაბამისად, მომდევნო წლებშიც აქტიურად გაგრძელდება მსგავსი ტიპის ინიციატივებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა.

ევროპის უნივერსიტეტმა ჩატარებული საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში მიიღო შემდეგი უნივერსიტეტების წარმომადგენლები:

მესამე საერთაშორისო კვირეული

- *Germany Technical University of Applied Sciences Wildau*
- *Israel Zefat Academic College*
- *Latvia EKA University of Applied Sciences*
- *Spain University of Málaga*
- *Spain Universitat Politècnica de Catalunya (UPC)*
- *Latvia EKA University of Applied Science*
- *Hungary University of Pannonia*
- *Portugal Escola Superior de Educação - Institulo Politécnico do PortoSlovenia New University (SI NOVA-GO07)*
- *Serbia College of Professional Studies - International Center of Professional Studies (ICEPS)*
- *Sweden Dalarna University*

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში ევროპის უნივერსიტეტი ოფიციალურად გახდა „უმაღლეს განათლებაში გამოყენებითი მეცნიერებების ევროპული ასოციაციის”

(EURASHE) წევრი, რაც უნივერსიტეტს აძლევს შესაძლებლობას, აქტიურად ჩაერთოს ევროკავშირის მასშტაბით დაგეგმილ და მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმებსა და ინიციატივებში, ჰქონდეს უშუალო წვდომა პოლიტიკის ფორმირების პროცესებზე და განავითაროს საერთაშორისო თანამშრომლობა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში.

უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში აქტიური მონაწილეობა. აქედან გამომდინარე, 2024–2025 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტის წარმომადგენლები დაესწრნენ შემდეგ საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებს:

- *EAIE Toulouse*
- *ICEF Higher Education*
- *ICEF China*
- *Najah Abu Dhabi*
- *Getex International Exhibition*

- სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება

ევროპის უნივერსიტეტისთვის მესამე მისიის განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. იგი მუდამ ზრუნავს, რომ წვლილი შეიტანოს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში. სწორედ აღნიშნულის მიღწევისთვის უნივერსიტეტმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩაატარა ტრენინგები სკოლის მასწავლებლებისთვის შემდეგ მნიშვნელოვან თემებზე:

- *„პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტარტეგიების ქეისებით და დილემებით სწავლება“ ;*
- *"სასწავლო პროცესის დაგეგმვა - სასწავლო კურიკულუმი, საგაკვეთილო სილაბუსი";*
- *„კლასის მართვის გამოწვევები და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება“*

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში პირველად დაიგეგმა ტრენიგები საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის პირისპირ ფორმატში, რომელიც განხორციელდა ევროპის უნივერსიტეტისა და ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის აქტიური თანამშრომლობით.

ტრენინგის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, როგორც თბილისში, ისე ქუთაისში, ადგილზე დასწრებოდნენ შეხვედრებს. ტრენინგი შეეხებოდა თემას — „კლასის მართვის გამოწვევები და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება“ და მიზნად ისახავდა პედაგოგთა პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებასა და თანამედროვე სასწავლო მიდგომების დანერგვის ხელშეწყობას. აღნიშნულ ტრენინგს დაესწრო 51 საჯარო სკოლის მასწავლებელი.

ჯამურად, ზემოთ აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მასშტაბით **128 საჯარო სკოლის მასწავლებელმა.**

ასევე მნიშნელოვანი ღონისძიებები ჩატარდა კულტურული მემკვიდერობის პოპულარიზაციასა და უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის განვითარების მიმართულებით. კერძოდ, განხორციელდა ორი ექსპედიცია გონიოს აკვატორიასა და მცხეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ ნიჩბისხევის ადგილ ორხერახევში, ელინისტური ხანის ნამოსახლარსა და სამაროვანზე. მუზეუმში აქტიურად მიმდინარეობდა ნიჩბისხევის

ექსპედიციიდან მიღებული არქეოლოგიურ მასალებზე(თიხის, ბრინჯაო, რკინის არტეფაქტები) კამერალური სამუშაობის წარმოება და სპეციალური დოკუმენტაციის მომზადება. აგრეთვე მუზეუმის ექსპონანტების რაოდენობა გაიზარდა , რაც გამოიხატება იმაში, რომ მუზეუმს შეემატა ბრინჯაოს ბალთა, ნუმიზმატიკური მასალა და სხვადასხვა სამკაულები.

ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზებით, გაიმართა III საერთაშორისო არქეოლოგიური სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა ოთარ ლორთქიფანიძე-ის დაბადებიდან 95 წლისთავსსაერთაშორისო კონფერენციას ესწრებოდნენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ექსპერტები, მკვლევრები და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები. ღონისძიება მნიშვნელოვანი პლატფორმა იყო პროფესიული გამოცდილების გაზიარებისა და თანამედროვე არქეოლოგიური კვლევების განხილვისთვის.ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის არქეოლოგიური დეპარტამენტის ორგანიზებით, საანგარიშო პერიოდში აქტიურად განხორციელდა სხვადასხვა საჯარო ლექცია, რაც სტუდენტებსა და დაინტერესებულ საზოგადოებას აძლევდა შესაძლებლობას გაცნობოდნენ სხვადასხვა მნიშნელოვან საკითხებს.

- ადგილობრივი აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა

ადგილობრივი აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით ევროპის უნივერსიტეტმა არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიება ჩაატარა. ღონისძიებები მიმართული იყო უნივერსიტეტისა და მისი პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლებისკენ.

ევროპის უნივერსიტეტში დაინტერესებული აბიტურიენტებისთვის გაიმართა საუნივერსიტეტო ღია კარის დღე. ღონისძიებას მასპინძლობდნენ უნივერსიტეტის რექტორი და მოქმედი ფაკულტეტების დეკანები. აბიტურიენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დეტალურად გაცნობოდნენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს, მიეღოთ ინფორმაცია მიღების პირობების, გაცვლითი პროგრამების, სტუდენტური ცხოვრების და სხვა მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ღონისძიების დასასრულს ყველა მონაწილეს სამახსოვრო საჩუქრები და სერტიფიკატები გადაეცათ.

ასევე, საანგარიშო პერიოდში ევროპის უნივერსიტეტი აქტიურად მასპინძლობდა უნივერსიტეტით დაინტერესებულ სკოლის მოსწავლეებს. ვიზიტის ფარგლებში მათ შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ უნივერსიტეტის ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები და სხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კამპუს-ტურების ფარგლებში იგეგმებოდა და იმართებოდა შეხვედრები შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და დეკანებთან, სადაც მოსწავლეები იღებდნენ ამომწურავ ინფორმაციას სწავლების სპეციფიკის, კარიერული შესაძლებლობებისა და სტუდენტური ცხოვრების შესახებ. ჯამურად, საანგარიშო პერიოდში ევროპის უნივერსიტეტს ეწვია თბილისის დაახლოებით 50-მდე საჯარო და კერძო სკოლის 827 წარმომადგენელი.

აქვე, უნდა აღინიშნოს ევროპის უნივერსიტეტის ესეების კონკურსი, რომელიც ევროპის უნივერსიტეტმა მთელი ქვეყნის მასშტაბით საჯარო და კერძო სკოლების XI–XII კლასელი მოსწავლეებისთვის გამოაცხადა, თემაზე: „განათლებისა და წიგნიერების როლი ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული მომავლის ჩამოყალიბების პროცესში“. კონკურსის მიზანი იყო მოსწავლეებში განათლების მნიშვნელობის პოპულარიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება და კრიტიკული აზროვნების წახალისება. ღონისძიებაში ჯამში 150 აბიტურიენტი მონაწილეობდა, სადაც სპეციალურად შექმნილმა კომისიამ გამოავლინა 4 გამარჯვებული. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ განსაკუთრებული პრიზებით.

გარდა საუნივერსიტეტო დონეზე დაგეგმილი ღონისძიებებისა, რომლებიც ემსახურებოდა აბიტურიენტებში ცნობადობის ამაღლებას უნივერსიტეტში არსებული პროგრამებისა და გარემოს შესახებ, ფაკულტეტებმა აბიტურიენტებისთვის დამატებით ჩაატარეს აქტუალურ თემებზე სხვადასხვა სახის ვორქშოფები და ტრენინგები:

- მედიცინის ფაკულტეტის ორგანიზებით, ჩატარდა აბიტურიენტებისთვის 10 ვორქშოფი პირველადი გადაუდებელი დახმარების თემატიკაზე ევროპის უნივერსიტეტის სიმულაციურ ცენტრში, რომელსაც დაესწროო 224 აბიტურიენტი თბილისის სკოლებიდან. ამასთან ფსიქოლოგიის პროგრამის მსურველი აბიტურიენტებისთვის ჩატარდა ერთი საჯარო ლექცია.
- სტომატოლოგიის ფაკულტეტის ორგანიზებით, ჩატარდა აბიტურიენტებისთვის 6 ვორქშოფი, სადაც მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ სტომატოლოგიის ძირითად პრინციპებს და სიმულაციური მულაჟების გამოყენებით მიღებული ცოდნა გამოეყენებინათ პრაქტიკაში.
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ორგანიზებით, ჩატარდა ინფორმატიკით დაინტერესებული აბიტურიენტებისთვის პრაქტიკული ვორქშოფი, ასევე განხორციელდა ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით IX-XII კლასის მოსწავლეებისთვის, ოლიმპიადა ინფორმატიკაში-„ალგორითმი 2025“. ოლიმპიადაში მონაწილეებს გადაეტათ სერტიფიკატები, ხოლო საპრიზო ადგილის მქონე მოსწავლეები კი დასაჩუქრდნენ სპეციალური პრიზებით.
- სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ორგანიზებით, ჩატარდა 6 ვორქშოფი. ვორქშოფებზე განხილული იყო პროფესიული ეთიკის ძირითადი ასპექტები, ექოსკოპიისა და ინტუბაციის ტექნიკები. ასევე ვორქშოფის ფარგლებში შეთავაზებული იყო მონაწილეებისთვის სახალისო ქიმიური ცდები. გარდა ზემო აღნიშნულისა, სხვადასხვა თემატიკის მიხედვით აბიტურიენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ სიმულაციური მულაჟების გამოყენებით მონაწილეობა მიეღოთ პრაქტიკულ აქტივობებში.

„ევროპის უნივერსიტეტსა“ და „რადიო აფხაზეთის ხმას“ შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობდა სამედიცინო გადაცემა „თეთრი ხალათი“, რომელსაც უძღვებოდა მედიცინის პროგრამის სტუდენტი. გადაცემა მიზნად ისახავდა სამედიცინო სფეროში აქტუალური თემების გაცნობას, პროფესიონალებთან საინტერესო დისკუსიების წარმართვას და მათგან პრაქტიკული რჩევების მიღებას.

გარდა ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, უნივერსიტეტში ჩატარდა ჟან მონეს რიგით მეორე, საზაფხულო აკადემია - „ევროკავშირის გაფართოება: თეორია, პრაქტიკა და თანამედროვე გამოწვევები“.საზაფხულო აკადემიის სესიებს უძღვებოდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი ლექტორები. ღონისძიებას 150 მონაწილე ჰყავდა.ასევე გაიმართა ჟან მონეს საზაფხულო აკადემიიის დახურვის ღონისძება, სადაც ყველა მონაწილეს გადაეცა მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

- საერთაშორისო აბიტურიენტების/სტუდენტების მოზდივა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ევროპის უნივერსიტეტის მიერ დაიდენტიფიცირდა ორი ახალი ბაზარი. აქტიურად მიმდინარეობდა პარტნიორი აგენტების ქსელის გაფართოება. ასევე მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდან აქტიურად ხორციელდება ონლაინ და ადგილობრივი ვიზიტები სამიზნე ქვეყნებში. ევროპის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განახორციელეს ორმოცამდე ონლაინ და პირისპირ შეხვედრა პარტნიორი სააგენტოების წარმომადგენლებთან.

პრიორიტეტული მიმართულება 2. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება

დასახული პრიორიტეტის მიღწევისა და პრაქტიკაში განხორციელების მიზნით 2023-2024 აკადემიურ წელს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყო 4 ამოცანა და 34 ღონისძიება. მოცემულ პრიორიტეტულ მიმართულებაში არ გამოკვეთილა ღონისძიების „ვერ შესრულება“.

ქვემოთ ამოცანების ჭრილშია მოცემული 2023-2024 აკადემიურ წელს შესრულებული ღონისძიებების აღწერა:

- უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე: განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამასა და ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე. განხორციელდა პროგრამების შინაარსობრივი და სტრუქტურული გადახედვა და განახლება, სწავლის შედეგების დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ სტანდარტებთან. აღნიშნული ცვლილებების მიზანს წარმოადგენდა პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება და მათი სააკრედიტაციოდ წარდგენა. ასევე, განხორციელდა ზემო აღნიშნული საგანმანათლებლო მოქმედი პროგრამების სააკრედიტაციოდ წარდგენა, რისთვისაც შემუშავდა თვითშეფასების ანგარიშები და შესაბამისი დანართები. პროგრამები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინა სააკრედიტაციოდ ვადის დაცვით.

- არსებული პროგრამების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა

უნივერსიტეტის მასშტაბით ხორციელდება არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განახლება სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენების საფუძველზე. ფაკულტეტების ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით სწავლის შედეგების შეფასება და აკადემიური მოსწრების ანალიზი. ასევე ტარდებოდა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა იმ პროგრამებზე, რომლებიც მზადდებოდა სააკრედიტაციოდ წარსადგენად. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობას იღებდნენ: სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და დამსაქმებლები.

საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით მომზადდა თვითშეფასების შუალედური ანგარიში ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე. ანგარიში დადგენილი მოთხოვნებისა და ვადების სრული დაცვით წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს. ასევე მომზადდა და ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ჩარჩოსთან შესაბამისობის ანგარიში, რომელიც ვადის სრული დაცვით ზემო აღნიშნულ ცენტრს.

- ახალი პროგრამების შემუშავება და აკრედიტაცია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ახალი პროგრამების შემუშავების მიმართულებით. უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები მუშაობდნენ შემდეგ პროგრამებზე:

- ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირება- ფინანსები და აუდიტი ინგლისურენოვანი პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირება- ფინანსები და აუდიტი ქართულენოვანი პროგრამა;
- განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა;
- კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა;
- კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა;
- ვეტერინარიის ინგლისურენოვანი ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა;
- საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა.

2024-2025 აკადემიურ წელს დასრულდა მუშაობა და სააკრედიტაციოდ იქნა წარდგენილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემდეგი პროგრამები:

- ბიზნესის ადმინისტრირება- ფინანსები და აუდიტი ინგლისურენოვანი პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირება- ფინანსები და აუდიტი ქართულენოვანი პროგრამა;
- კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა;
- კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა;
- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- ვეტერინარიის ინგლისურენოვანი ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა.

რაც შეეხება ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას, პროგრამის ვადამ გადაიწია დღის წესრიგში არსებული პრიორიტეტების ცვლილების გამო. აღნიშნული პროგრამის მომზადება და წარდგენა იგეგმება მომდევნო აკადემიურ წელს.

ევროპის უნივერსიტეტის მიერ მიმდინარე აკადემიურ წელს ჯამში წარდგენილ იქნა 5 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 3 ინგლისურენოვანი პროგრამა. რაც შეეხება პროგრამებს, რომლებიც მიმდინარე წელს არ წარდგენილა და რომელთა მიმართულებითაც სამუშაო პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა, მათი დასრულება და წარდგენა დაგეგმილია მომავალი აკადემიური წლისთვის.

- პროგრამების ინტერნაციონალიზაცია

პროგრამების ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. საერთაშორისო ასპარეზზე კავშირების გაძლიერება და მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება უნივერსიტეტისთვის არსებითად მნიშვნელოვანია. აღნიშნულის მიღწევისთვის ევროპის უნივერსიტეტში აქტიურად მიმდინარეობდა სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში ჩართვა, რასაც მოწმობს მონაწილეობის მაჩვენებელი. კერძოდ, 2024-2025 აკადემიურ წელს შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრში გაცვლითი პროგრამით ისარგებლა ევროპის უნივერსიტეტის 31 სტუდენტმა. აკადემიურ პერსონალთან მიმართებით კი ეს რიცხვი შეადგენს 19-ს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ევროპის უნივერსიტეტი-ის მიერ საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა არაერთი

საინტერესო ლექცია და შეხვედრა, რომლებიც განკუთვნილი იყო როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური პერსონალისთვის.

2024–2025 აკადემიურ წელს სტუდენტებისთვის გაიმართა 15 საერთაშორისო ხასიათის ღონისძიება, რომლებსაც 200-ზე მეტი სტუდენტი დაესწრო. ამავე პერიოდში აკადემიური პერსონალისთვის განხორციელდა 14 საერთაშორისო ხასიათის ღონისძიება, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის 80-მდე პერსონალმა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო ასპარეზზე ბილატერალური ურთიერთობების ჩამოყალიბების მიმართულებით. აღნიშნულის ფარგლებში გაფორმდა 10 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შემდეგ უნივერსიტეტებთან:

• Uniwersytet Jana Długosza w Częstochowie- პოლონეთი

•History of Pavol Jozef Šafárik University in Košice - სლოვაკეთი

•Ankara Yıldırım Beyazıt University- თურქეთი

•ISMA University of Applied Sciences - ლატვია

•New Bulgarian Univeristy - ბულგარეთი

•University of Applied Sciences Sibenik - ხორვატია

•Zonguldak Bulent Ecevit University - თურქეთი

•Eotvos Lorand University - უნგრეთი

•Nisantas University of Istanbul - თურქეთი

•University of Jaen - ესპანეთი

2024–2025 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტი ახორციელებდა შემდეგი საერთაშორისო პროექტების მართვას კოორდინატორისა და პარტნიორი ინსტიტუციის სტატუსით:

- **EnlargEU Jean Monnet Module** – ჟან მონეს მოდული „ევროკავშირის გაფართოება: წარსულის გაკვეთილები სამომავლო გადაწყვეტილებისთვის“;
- **HEAL Project** – „განსაკუთრებული საჭიროების მქონე პაციენტთა სტომატოლოგიური მომსახურების გაძლიერება და ექიმ-სტომატოლოგთა უწყვეტი განათლების ხელშეწყობა საქართველოში“;
- **VETPRO Project** – „სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის განვითარება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ახალგაზრდა ვეტერინარიის პროფესიონალების მომზადების მიზნით“;
- **InnovaVet Project** – „ვეტერინარული განათლების პროგრამის განვითარება“.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მიერ წარდგენილი იქნა ახალი საგრანტო პროექტი ერაზმუსის საგრანტრო პროექტში.

აღნიშნული პროექტები ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, სასწავლო გეგმების მოდერნიზაციას, პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების გაძლიერებასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

პრიორიტეტული მიმართულება 3. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა

დასახული პრიორიტეტის მიღწევისა და პრაქტიკაში განხორციელების მიზნით 2024-2025 აკადემიურ წელს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყო 6 ამოცანა და 25 ღონისძიება. მოცემულ პრიორიტეტულ მიმართულებაში არ გამოკვეთილა ღონისძიების „ვერ შესრულება“. გეგმით დასახული 19 ღონისძიება „შესრულებულია სრულად“. ასევე ორ-ორ ღონისძიებასთან მიმართებით განისაზღვრა სტატუსი „შესრულებულია ნაწილობრივ“ და „შესრულებულია მეტწილად“.

ქვემოთ ამოცანების ჭრილში მოცემულია 2024-2025 აკადემიურ წელს შესრულებული ღონისძიებების აღწერა:

- სწავლა - სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების იმპლემენტაციის ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა სწავლა-სწავლებისა და შეფასების ინოვაციური მეთოდების საკითხებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით. აღნიშნულის ფარგლებში უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებების კვლევას. მოცემული კვლევის საფუძველზე უნივერსიტეტი განსაზღვრავს სამომავლო ნაბიჯებსა და ადგენს ახალი ტრენინგ-მოდულების შემუშავების თემატიკასა და საჭიროებას. მიმდინარე პერიოდში აღნიშნული საჭიროებების კვლევაში მონაწილეობა მიიღო 100-მა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა. აღნიშნული კვლევის შედეგების საფუძველზე ტრენინგ-მოდულები შემუშავდება მომდევნო აკადემიურ წელს.

2023-2024 აკადემიურ წელს ჩატარებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებების კვლევის საფუძველზე მიმდინარე აკადემიურ წელს მომზადდა ექვსი ახალი ტრენინგ მოდული:

- ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება სწავლა-სწავლებისას;
- მედიაწიგნიერება: ციფრული ეპოქის მიღწევები და გამოწვევები;
- თამაშზე დაფუძნებული სწავლება;
- ემოციური ინტელექტი სწავლებისას;
- სწავლების ინტერაქტიური მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში;
- შრომის სამართლის აქტუალური საკითხები.

განახლდა 2 არსებული ტრენინგ მოდული:

- შეფასების სტრატეგიები და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში;
- ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა.

ზემოთ მოცემულ ტრენინგ-მოდულებში მიმდინარეობდა მოწვეული და აკადემიური პერსონალის გადამზადება. 2024-2025 აკადემიურ წელს ჩატარდა ***48 ტრენინგი/ვორქშოფი*** და გადამზადდა პერსონალის 50%-ზე მეტი. უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია აკადემიურ პერსონალზე მუდმივი ზრუნვა განვითარებისთვის, აქედან გამომდინარე აღნიშნული გაგრძელდება მომდევნო აკადემიურ წელსაც.

ევროპის უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მიზანია განათლების მკვლევარების, ექსპერტებისა და პროფესიონალებისთვის აკადემიური პლატფორმის შეთავაზება, სადაც ისინი განიხილავენ განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებს და ერთმანეთს უზიარებენ ახალ ცოდნასა და გამოცდილებას. 2024-2025 აკადემიურ წელს ჩატარდა რიგით მე-4 საერთაშორისო კონფერენცია ონლაინ ფორმატში თემაზე „განათლება, ტექნოლოგიები და ინოვაცია“. კონფერენციას ჰყავდა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მომხსენებლები. კონფერენციას ესწრებოდა 50-ზე მეტი ადამიანი. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციისთვის მომზადდა ბროშურა და კონფერენციის აბრსტრაქტების კრებული, ასევე განახლდა კონფერენციის ვებგვერდი.საანგარიშო პერიოდში, ინგლისური ენის სასწავლო კურსებისთვის შეირჩა ახალი სახელმძღვანელო, 2022 წლის გამოცემა - Empower. სახელმძღვანელოს შესაბამისად, სრულად განახლდა სილაბუსები მასში შემავალი ყველა კომპონენტი - სწავლის მიზნები და შედეგები, სწავლება-სწავლის მეთოდები, შეფასების მეთოდები და კვირეული შინაარსი. სილაბუსები მომზადდა ყველა დონისთვის A1-B2. შეირჩა ქართულის, როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელო და შესაბამისად განახლდა სილაბუსები. სხვა უცხოურ ენებთან დაკავშირებით სახელმძღვანელოს განახლების აუცილებლობა არ დამდგარა, თუმცა, სილაბუსები გადაიხედა და დაიხვეწა როგორც შინაარსი, ასევე სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები.

- სამართლებრივი დახმარების ცენტრის საქმიანობის არეალის გაფართოება

ევროპის უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს სამართლებრივი დახმარების ცენტრი, რომლის მიზანია სტუდენტებისთვის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების ხელშეწყობა. ამავდროულად ცენტრი ეხმარება სტუდენტს მიიღოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც შემდგომი საქმიანობის ეტაპზე მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია. გარდა ზემო აღნიშნულისა, სამართლებრივი დახმარების ცენტრს სოციალური ფუნქციაც აკისრია, ის უსასყიდლოდ ემსახურება ადამიანებს, ვისთვისაც შესაბამისი სერვისები არ არის ხელმისაწვდომი.

2024-2025 აკადემიურ წელს **134 კონსულტაცია** იქნა გაწეული სამართლებრივი დახმარების ცენტრის მიერ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე.

- პრაქტიკული სწავლების ცენტრებისა და ლაბორატორიების დაფუძნება და არსებულის განვითარება

2024–2025 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და აღჭურვილობითი სამუშაოები განხორციელდა საგანმანათლებლო პროცესების ხარისხის გაუმჯობესებისა და პრაქტიკულ სწავლების გაძლიერების მიზნით:

მედიცინის ფაკულტეტი:

- მოეწყო 4 ახალი სიმულაციური ოთახი;
- შეიქმნა ფიზიოლოგიის ლაბორატორია და ქიმია/ბიოქიმია/იმუნოლოგიის ერთობლივი ლაბორატორია;
- აშენდა 2 ახალი ჰისტოლოგიის სასწავლო კაბინეტი;
- შეძენილ იქნა ლაბორატორიული მუშაობისა და სიმულაციური სწავლებისათვის საჭირო მასალები.

სტომატოლოგიის ფაკულტეტი:

- აქტიურად მიმდინარეობდა სტომატოლოგიური კაბინეტის აღჭურვისთვის საჭირო ინსტრუმენტებისა და სახარჯი მასალის შეძენა.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი:

- განხორციელდა ახალი კონცეფციის მიხედვით ლაბორატორიის მოწყობა;
- ლაბორატორია აღიჭურვა 31 უახლესი თაობის Dell Alienware I9 კომპიუტერით, 2 სმარტ დაფითა და თანამედროვე ინვენტარით;
- შეიქმნა თანამედროვე დიზაინის სამუშაო სივრცე, რომელიც ხელს უწყობს ინტერაქტიურ სწავლას.

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი:

- შეძენილ იქნა სახარჯი მასალა და სპეციალური აღჭურვილობა: ძროხის სიმულატორი, ძაღლის მულაჟები, ცხოველთა ხელოვნური საშოები, კანის პარაზიტების ანატომიური მოდელები, ორგანოები ანატომიის სწავლებისთვის, სპერმის შესანახი მაცივარი და სხვა;
- სიმულაციური კლინიკური კაბინეტებისთვის შეძენილ იქნა: ვეტერინარული ექოსკოპიის სტაციონარული აპარატი 4D, 6-არხიანი ელექტროკარდიოგრაფი, პორტატული ანესთეზიის აპარატი, ვეტერინარული ციფრული რადიოგრაფი X-Ray, ქირურგიული განათება, პაციენტის დაკვირვების მონიტორი, კატისა და ძაღლის ვეტერინარული ენდოსკოპი, ცხოველთა ქირურგიული მაგიდა და პაციენტის გათბობის სისტემა.

აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს პრაქტიკული სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში, სტუდენტთა პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებაში.


EU LAB

ვეტერინარიის სიმულაციური კაბინეტი

მედიცინის სიმულაციური კაბინეტი

სტომატოლოგიის სიმულაციური კაბინეები

- გარე პრაქტიკის გაძლიერება

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ფაკულტეტები აქტიურად მუშაობდნენ საჯარო და კერძო დაწესებულებებთან არსებული თანამშრომლობის გაღრმავებაზე და ახალი პარტნიორების მოძიებაზე. ჯამურად არსებული 5 ფაკულტეტის ფარგლებში გაფორმდა 43 ახალი მემორანდუმი,კერძოდ:

- მედიცინის ფაკულტეტი- 14 მემორანდუმი;
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი- 16 მემორანდუმი;
- სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი- 5 მემორანდუმი და განახლდა ყველა არსებული;
- სამართლის, ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი- 8 მემორანდუმი.

- აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლება, დარღვევების გამოვლენა და პრევენციული მექანიზმების დანერგვა

უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლება სტუდენტებსა და ლექტორებში. უნივერსიტეტმა საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 8 ტრენინგი, სადაც გადამზადდა 159 აკადემიური პერსონალი.

გარდა აკადემიური პერსონალისა, უნივერსიტეტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ მოხდეს ცნობიერების ამაღლება სტუდენტებშიც, არსებულის მიღწევისთვის უნივერსიტეტმა ფაკულტეტების ფარგლებში ჩაატარა ჯამში 5 შეხვედრა თემაზე: „ აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენცია“, როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენებზე.

ასევე, უნივერსიტეტში, ყველა მოქმედი ფაკულტეტის პროგრამების ფარგლებში, აქტიურად გამოიყენება პლაგიატის ამომცნობი სისტემა **„Turnitin“** სწავლებისა და შეფასების პროცესში, რაც უზრუნველყოფს აკადემიური წესების დაცვას, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ნამდვილობასა და ხარისხის უზრუნველყოფას.

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

უნივერსიტეტისთვის სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. აღნიშნული ამოცანის მიღწევისთვის უნივერსიტეტში აქტიურად მიმდინარეობს განხორციელებული საქმიანობის მუდმივი მონიტორინგი, ხარისხის უზრუნველყოფის დამტკიცებული მექანიზების შესაბამისად. მოცემული ემსახურება პრობლემების სწრაფ იდენტიფიცირებას, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის უწვეტ განვითარებას.

უნივერსიტეტში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, ყოველწლიურად ხორციელდება პერსონალის შეფასება. 2023-2024 წელს აკადემიური პერსონალი შეფასებულია სრულად, უნივერსიტეტის იმ აკადემიური პერსონალის 71.1%-მა ვინც წარმოადგინა სამეცნიერო აქტივობის შეფასების ანგარიში, შეასრულა მათთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით დადგენილი მოთხოვნები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით დადგენილი მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად ყველა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მოწვეული და აკადემიური პერსონალის საუდიტორიო მუშაობის შეფასება. ამასთან, მომზადდა დამსწრე კოლეგების შეფასებები და უკუკავშირი გაზიარდა შესაბამის პერსონალთან.

უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესების შეფასება სისტემატურად ხორციელდება. შეფასების პროცესში მონაწილეობენ სტუდენტები. შეფასების შედეგად მიღებული მიგნებები გამოიყენება სამომავლო ნაბიჯების განსაზღვრისთვის, რაც უზრუნველყოფს პროცესების გაუმჯობესებას, გამჭვირვალობის ზრდას და სტუდენტებისთვის უკეთესი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ შეფასებამ აჩვენა, რომ სტუდენტების 76.9% დადებითად აფასებს საგამოცდო პროცესებს, რაც მიუთითებს პროცესის ეფექტურობაზე, თუმცა არსებობს შესაძლებლობა მისი შემდგომი დახვეწისა და სრულყოფისთვის.

უნივერსიტეტში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, აქტიურად ხორციელდება პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ფაკულტეტების ჭრილში. გამოკითხული სტუდენტების 100% კმაყოფილია და დადებითად აფასებს პრაქტიკის კომპონენტს.

რაც შეეხება კლინიკებში კლინიკური სასწავლო კურსების შეფასებას, გამოკითხულ სტუდენტთა 65.5% კმაყოფილია და დადებითად აფასებს კლინიკური სასწავლო კურსების კომპონენტს.

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ზოგადი კმაყოფილების შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების მიზნით, ხარისხის ინსტრუმენტების შესაბამისად, ჩატარდა გამოკითხვა ზოგადი კმაყოფილების შესახებ. აღნიშნული გამოკითხვის შედეგად სტუდენტების 85.9% და პერსონალის 94.3% კმაყოფილია უნივერსიტეტთან ზოგადი თანამშრომლობით.

პრიორიტეტული მიმართულება 4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება

დასახული პრიორიტეტის მიღწევისა და პრაქტიკაში განხორციელების მიზნით 2024-2025 აკადემიურ წელს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყო 4 ამოცანა და 18 ღონისძიება. მოცემულ პრიორიტეტულ მიმართულებაში ვერ შესრულდა სამი ღონისძიება. ასევე ერთი ღონისძიების შემთხვევაში გამოიკვეთა ნაწილობრივი შესრულება.

ქვემოთ ამოცანების ჭრილში მოცემულია 2024-2025 აკადემიურ წელს შესრულებული ღონისძიებების აღწერა:

- უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების პერიოდული გადახედვა

უნივერსიტეტს დასახული ამოცანის შესრულების მიზნით გაწერილი აქვს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების/პოტენციალის შესწავლას. სწორედ აღნიშნულისთვის, 2023-2024 აკადემიურ წელს წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევითი წლიური ანგარიშების მიხედვით მომზადდა სტატისტიკური ანალიზი განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შესახებ.ინფორმაცია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიღწევების შესახებ განახლდა HR Soft-ზე. შედეგად არსებობს სრული სურათი უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის შესახებ.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი სისტემატურად ახორციელებს ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მიერ დეკლარირებული კვლევითი პრიორიტეტების დესკრიპტულ ანალიზს. აღნიშნული ანალიზი საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს, რომ სამომავლო კვლევითი თემატიკა და მიმართულებები განსაზღვროს ფონდების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების საფუძველზე.

ამ პროცესის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო დოკუმენტი ეროვნული და საერთაშორისო კვლევითი ფონდების კვლევითი პრიორიტეტების შესახებ. შედეგად უნივერსიტეტს აქვს სრული და ეროვნული და საერთაშორისო კვლევითი ფონდების პრიორიტეტების შესახებ.

- კვლევითი ინსტიტუტების განვითარება

ევროპის უნივერსიტეტისთვის კვლევითი ინსტიტუტების განვითარება და მათი შესაძლებლობების გაძლიერება წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას.

დღეის მდგომარეობით უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს 3 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლებმაც საანგარიშო პერიოდში განახორციელეს მნიშვნელოვანი აქტივობები

და პროექტები. ქვემოთ, ინსტიტუტების მიხედვით, დეტალურად არის წარმოდგენილი ინფორმაცია განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

- *სამართლის კვლევითი ინსტიტუტი*

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს სამართლის ინსტიტუტი, რომელიც დარგის საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით უზრუნველყოფს, საფაკულტეტო დონეზე, შესაბამისი კვლევითი რესურსებით სამართლის მიმართულების განვითარებას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამართლის ინსტიტუტის მიერ მომზადდა 4 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლებიც წარედგინა ადგილობრივ ფონდებს დაფინანსების მოპოვების მიზნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2024-2025 აკადემიურ წელს წარდგენილ იქნა სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, დეკანის მოადგილისა და მოწვეული ლექტორის მიერ შექმნილი პროექტი : „უფლებების ლაბორატორია“ , რომელი სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის საგრანტო კონკურსის გამარჯვებული გახდა. აღნიშნული შედეგი მნიშვნელოვანია როგორც ფაკულტეტის, ისე უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერებისა და კვლევითი მიმართულებების განვითარების თვალსაზრისით.

სამართლის ინსტიტუტის ეგიდით 2024-2025 აკადემიურ წელს, განხორციელდა შემდეგი ღონისძებები:

- ონლაინ კონფერენცია თემაზე **„საქართველო და ევროკავშირი – სამართლებრივი და პოლიტიკური ვექტორები“**, რომელსაც ესწრებოდა 50 მონაწილე.
- ევროპის უნივერსიტეტი-ის სამართლის ინსტიტუტი-ის ორგანიზებით, Courtyard by Marriott Tbilisi-ში გაიმართა კონფერენცია – **„ქართული კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა ციფრული ეკონომიკის ეპოქაში“**, რომელსაც ესწრებოდა 30-მდე მონაწილე.

აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს სამართლის სფეროში აქტუალური საკითხების განხილვას, აკადემიური დისკუსიის გაღრმავებასა და პროფესიული წრის ჩართულობის გაზრდას.

ასევე, საანგარიშო პერიოდში, სამართლის ინსტიტუტის მხარდაჭერით მომზადდა და გამოქვეყნდა ქართულ ენაზე 4 სამეცნიერო ლიტერატურა.

2024–2025 აკადემიურ წელს გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალი სამართალი და მსოფლიოს 4 ნომერი (№31, №32, №33, №34). ამავე პერიოდში ჟურნალი გაწევრიანდა ერთ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის საერთაშორისო ხილვადობას, ციტირებადობასა და კვლევითი ნაშრომების ფართო აკადემიურ სივრცეში გავრცელების შესაძლებლობას.

- *მედიცინის ინსტიტუტი*

მედიცინის ფაკულტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დარგის ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო

საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით უზრუნველყოფს, საფაკულტეტო დონეზე, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობას კვლევითი საქმიანობის განხორციელებით.

ინსტიტუტის ბაზაზე ფუნქციონირებს ჟურნალი „Biomedical and Medical Science“, რომლის ორი ნომერიც გამოიცა საანგარიშო პერიოდში.

2024-2025 აკადემიურ წელს მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის მიერ მომზადდა საგრანტო პროექტი „კლინიკური მონაცემების სამეცნიერო მნიშვნელობის წარმოჩენა ტუბერკულოზის მაგალითზე“, რომელიც წარედგინა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივ საგრანტო კონკურსზე. საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული მიმართულებით დაფინანსებული პროექტი არ ფიქსირდება.

- *არქეოლოგიის ინსტიტუტი*

საანგარიშო პერიოდში არქეოლოგიის ინსტიტუტი-ის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალის განვითარებაზე მუშაობა. აღნიშნული პროცესის ფარგლებში ინსტიტუტმა გამოსცა ჟურნალის მე-9 და მე-10 ნომრები, რაც ხელს უწყობს არქეოლოგიური კვლევების შედეგების გავრცელებას, აკადემიური დისკუსიის გაღრმავებასა და კვლევითი საქმიანობის ინტენსიფიკაციას.

- კვლევითი საგრანტო პროექტების ინიცირებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა

უნივერსიტეტში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის. აღნიშნულისთვის მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის აქტიურად ზიარდებოდა ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების კონკურსების შესახებ. ჯამში 2024-2025 აკადემიურ წელს გაზიარდა 96 ინფორმაცია კვლევით გრანტებზე. ასევე მიმდინარეობდა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის სამუშაო შეხვედრების ორგანიზება/კონსულტაციების გაწევა კვლევითი საგრანტო კონკურსების შესახებ. ჯამში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა 9 სამუშაო შეხვედრა და ინდივიდუალური კონსულტაცია.

უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია, რომ მუდმივად ხორციელდებოდეს პერსონალის გადამზადება სამეცნიერო-კვლევით საკითხებზე. აღნიშნულისთვის მიმდინარე აკადემიურ წელს განხორციელდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა მათი საჭიროებების შესახებ. ასევე განხორციელდა გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რის საფუძველზეც განისაზღვრა 2024-2025 აკადემიური წლის ტრენინგებისა და სემინარების თემატიკა.

მიმდინარე აკადემიურ წელს სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების გაძლიერებისა და პროექტების წერის მიმართულებით ჩატარდა 6 ტრენინგი/მასტერკლასი შემდეგ თემებზე:

- კვლევითი აქტივობის დაგეგმვა და კოორდინირება
- სამეცნიერო ბაზების გამოყენება სასწავლო და კვლევის პროცესში
- სტუდენტთა მხარდაჭერა, ხელმძღვანელობა და მენტორობა სწავლასა და კვლევაში
- საპროექტო განაცხადის წერა / ფონდების მოძიების სპეციფიკა

- როგორ მოვამზადოთ წარმატებული საპროექტო განაცხადი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი-ს საგრანტო კონკურსებისთვის
- სტატიის წერა / გამოქვეყნება რეიტინგულ ჟურნალში

აღნიშნული აქტივობები მიზნად ისახავდა პერსონალის კვლევითი და საგრანტო შესაძლებლობების გაძლიერებას.

2024-2025 აკადემიურ წელს მედიცინის ფაკულტეტის მიერ საგრანტო განაცხადის წარდგენა არ მომხდარა, რამდენადაც არ გამოცხადებულა შესაბამისი კონკურსი.

- კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისება და ხელშეწყობა

2024–2025 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტი-ის ყველა ფაკულტეტის ფარგლებში ჩატარდა სტუდენტური კონფერენციები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჯამში 91 სტუდენტმა. სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ,წარედგინათ თავიანთი მოხსენებები. ყველა მონაწილეს გადაეცათ სერტიფიკატები, ხოლო საპრიზო ადგილების მფლობელები დაჯილდოვდნენ შესაბამისი საჩუქრებით. აღნიშნული ღონისძებები მიზნად ისახავს წაახალისოს სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა და ხელს უწყობს სტუდენტებში კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაციას.

საანგარიშო პერიოდში,უნივერსიტეტი აქტიურად ცდილობდა უზრუნველეყო სტუდენტების ინიცირებული კვლევითი პროექტების/კონფერენციების დაფინანსება. გამოცხადდა კონკურსი მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, სადაც 2024–2025 წლის გაზაფხულის სემესტრში გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა ორი სტუდენტური პროექტი**.** მომზადდა შესაბამისი ხელშეკრულებები, ხოლო კვლევითი პროექტების განხორციელება სტუდენტებმა დაიწყეს ოქტომბრიდან. რაც შეეხება სტომატოლოგიის ფაკულტეტს, გამოცხადდა კონკურსი სტუდენტების დაფინანსებისთვის, თუმცა მოთხოვნა არ დაფიქსირებულა. კონკურსის ხელახლა გამოცხადება იგეგმება 2025 წლის სექტემბერში.

პრიორიტეტული მიმართულება 5. სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება

დასახული პრიორიტეტის მიღწევისა და პრაქტიკაში განხორციელების მიზნით 2023-2024 აკადემიურ წელს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყო 5 ამოცანა და 26 ღონისძიება. მოცემულ პრიორიტეტულ მიმართულებაში არ გვიფიქსირდება ვერ შესრულებული ღონისძიება.

ქვემოთ ამოცანების ჭრილში მოცემულია 2023-2024 აკადემიურ წელს შესრულებული ღონისძიებების აღწერა:

- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა

ევროპის უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დაეხმაროს შემდგომ კარიერულ განვითარებაში, რისთვისაც უზრუნველყოფს მათთვის კარიერულ თემებზე ტრენინგების შეთავაზებას. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით ჩატარდა 2 შეხვედრა ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისთვის შემდეგ თემებზე:

- „გასაუბრების კულტურა და ეფექტური CV";

- „Global Employability for Medical Students: Resume Excellence and International Hiring Standards".

ამასთან სტუდენტები და კურსდამთავრებულები აქტიურად იღებდნენ ფაკულტეტების ჭრილში ინფორმაციას პროფილური და ექსკლუზიური ვაკანსიების შესახებ. საანგარიშო პერიოდში მათთვის გაზიარდა ინფორმაცია 350-მდე მიზნობრივი ვაკანსიის შესახებ.სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა ორგანიზება გაუწია სამ შეხვედრას პარტნიორი კომპანიების დამფუძნებლებსა და წარმომადგენლებთან. შეხვედრების ფარგლებში კომპანიების წარმომადგენლებმა სტუდენტებს გააცნეს კომპანიის საქმიანობა, სტაჟირების პირობები და კარიერული განვითარების შესაძლებლობები. აღნიშნული შეხვედრები ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიულ გამოცდილების მიღებასა და შემდგომ დასაქმებას.

ამასთანავე, ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ კარიერული და სხვა ტიპის კონსულტაციებით. საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სერვისით ისარგებლა და კარიერული კონსულტაცია გაეწია 27 სტუდენტს/კურსდამთავრებულს.

- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ელექტრონული სერვისების განვითარება

ევროპის უნივერისტეტი მაქსიმალურად ორიენტირებულია უზრუნველყოს სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის არსებული სერვისების გაციფრულება. მოცემულისთვის საანგარიშო პერიოდში, სასწავლო ბაზაში ჩაშენებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მოდული, ასევე დასრულებულია მუშაობა ხარისხის მოდულზე. მოცემულ პერიოდში ასევე მიმდინარეობდა აქტიური მუშაობდა საბიბლიოთეკო მოდელის ჩაშენებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება სტუდენდტური სერვისი მოდულს, საერთაშორისო ურთიერთობის მოდულსა და HR SOFT-ის ინტეგრირებას სასწავლო ბაზაში, აღნიშნულ მოდულებზე მუშაობა გაგრძელდება შემდგომ აკადემიურ წელს.

გარდა ზემოთ მოცემული ინფორმაციებისა, სასწავლო ბაზის განვითარებისა და გაციფრულების მიმართულებით შემუშავდა და ბაზაში აისახა შემდეგი მნიშვნელოვანი ფუნქციონალები:

- სტუდენტთა დასწრების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი სტანდარტული და კურაციული საგნების თავისებურებების გათვალისწინებით;
- ბაზას დაემატა კლინეკების სია მისამართების მითითებით, რაც იძლევა საშუალებას; გაკონტროლდეს კონკრეტულ მისამართზე სტუდენტთა აღრიცხვიანობა;
- შუალედური გამოცდების შეფასების სტატისტიკა;
- ინტეგრირებული საგნების მიხედვით შიდა ბარიერების დაძლევის სტატისტიკა;
- -შუალედური, დასკვნითი და განმეორებითი გამოცდების ხანგრძლივობის საშუალო სტატისტიკური მონაცემების ამასხველი ინფორმაცია;
- ფინანსურ მოდულს დაემატა იმ სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სია
- სასწავლო გეგმას დაემატა სასწავლო კურსის მოკლე აღწერილობა;
- მენეჯერის გვერდზე დაემატა პასპორტის მოქმედების ვადის ამოწურვის ველი.

- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და ლოიალობის ზრდა

სტუდენტების და კურსდამთავრებულების ლოიალურობის გაზრდა საკმაოდ მნიშვნელოვანი მიმართულებაა. აღნიშნულის მისაღწევად უნივერსიტეტის წარმომადგენლები ყოველი

აკადემიური წლის დასაწყისში ხვდებიან სტუდენტებს და აიდენტიფიცირებენ მათ მოთხოვნებს, ასევე ატარებენ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა საჭიროებების კვლევას, რის საფუძველზეც იგეგმება სხვადასხვა აქტივობები. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის მხარდაჭერით ჩატარდა შემდეგი საჯარო ლექცია თემაზე: "კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიურ-სამართლებრივი ასპექტები"

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყოველთვიური Newsletter-ის გავრცელებას, რომელიც მოიცავს გასული თვის შეჯამებასა და მომავალ თვეში დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული მიმართულებით უნივერსიტეტი საანგარიშო პერიოდში აქტიურად უზრუნველყოფდა სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე კურსდამთავრებულების სისტემურ და უწყვეტ ინფორმირებას მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ.

უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია დინამიური საუნივერსიტეტო გარემოს უზრუნველყოფა და მდგრადი სოციალური კავშირების ჩამოყალიბება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა ღონისძიებები, კერძოდ, 2024-2025 აკადემიურ წელს განხორციელდა:

- პირველკურსელთა მიღების ოფიციალური ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში;
- საახალწლო საზეიმო ღონისძიება;
- კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ცერემონია;

გამოსაშვები ღონისძიება „2025“

- ექსტრაკურიკულარული პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა

უნივერსიტეტი მაქსიმალურად ორიენტირებულია გარდა პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტებისა, სტუდენტებს შესთავაზოს დამატებითი ექსტრაკურიკულარული ღონისძიებები ფაკულტეტის ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში, ჯამურად ღონისძიებებში ჩართული იყო 170 ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტი. ქვემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალურად მოცემულია განხორციელებული ღონისძიებები. კერძოდ:

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

- "ერაზმუს+"-ის შერეული ინტენსიური პროგრამის (Blended Intensive Program) ფარგლებში უნივერსიტეტის 4 სტუდენტი იმყოფებოდა Kore University of Enna-ში (იტალია).
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის 8 სტუდენტი ერთკვირიანი მობილობით იმყოფებოდა Strasbourg-ში.
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის შეთავაზებულ იქნა გარე პრაქტიკა სასამართლოში. კონკურსის საფუძველზე შერჩეულმა სტუდენტმა ინდივიდუალური პრაქტიკა დაიწყო რუსთავის საქალაქო სასამართლო-ში.
- არქეოლოგიის პროგრამის მეორე კურსის სტუდენტებისთვის განხორციელდა შავი ზღვის პირველი სასწავლო-სამეცნიერო წყალქვეშა კვლევა, ორგანიზებული უნივერსიტეტის აკად. ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ,აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა 5 სტუდენტი.

სამართლის პროგრამის სტუდენტები სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იმყოფებოდნენ

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

- "ერაზმუს+"-ის შერეული ინტენსიური პროგრამის ფარგლებში ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმისა და ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის 10 სტუდენტი დაესწრო სრულად დაფინანსებულ ერთკვირიან ტრენინგს PXL University of Applied Sciences and Arts-ში (ჰასელტი, ბელგია).
- 6 სტუდენტი მონაწილეობა მიიღო საზაფხულო სკოლაში Wittenborg University of Applied Sciences-ში (აპელდორნი, ნიდერლანდები).

ბიზნესის ფაკულტეტის ექვსი სტუდენტი "ერაზმუს+" KA171 პროგრამის ფარგლებში ნიდერლანდების ქალაქ აპელდორნში, ვიტენბორგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდა

მედიცინის ფაკულტეტი

- დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამის 7 სტუდენტმა გაიარა ერთკვირიანი კლინიკური პრაქტიკა Heidelberg University Hospital-ში (გერმანია).
- 19 სტუდენტმა ერთკვირიანი კლინიკური პრაქტიკა გაიარა University of Santiago de Compostela-ში (ესპანეთი).

- მედიცინის ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი პროგრამის 27 სტუდენტმა გაიარა ერთთვიანი კლინიკური პრაქტიკა Jo Ann University Hospital-ში.

მედიცინის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები გერმანიაში, "ჰაიდელბერგის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში" კლინიკურ პრაქტიკას გაიარეს

სტომატოლოგიის ფაკულტეტი

- სტომატოლოგიის პროგრამის 10 სტუდენტმა გაიარა კლინიკური პრაქტიკა Istanbul Aydin University-ში (თურქეთი).

სტომატოლოგიის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამის 10 სტუდენტი "აიდინის უნივერსიტეტში" კლინიკურ სტაჟირებას გაიარეს

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი

- პირველი კურსის 15 სტუდენტი სასწავლო ვიზიტით ეწვია თბილისის ზოოპარკი-ს.
- ვეტერინარიის პროგრამის 35 სტუდენტისთვის Food and Agriculture Organization (FAO)-მ ჩაატარა ტრენინგი საქართველოში რძის სექტორის მდგომარეობისა და საჭიროებების შესახებ. თეორიული ნაწილის დასრულების შემდეგ სტუდენტებმა პრაქტიკული სამუშაოები გაიარეს ქარელში, "პაპას ფერმაში".
- კლინიკებში „ვეტჰაუსი" და „ნიუვეტი" კონკურსის საფუძველზე შერჩეულმა 13 სტუდენტმა გაიარა პრაქტიკული კურსი.

- ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის 10 სტუდენტმა სრული დაფინანსებით გაიარა კლინიკური, დიაგნოსტიკური და კვლევითი სტაჟირება University of Santiago de Compostela-ში (ესპანეთი).

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ესპანეთში, „სანტიაგო დე კომპოსტელას“ უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ

ზემოაღნიშნული ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკები და სტაჟირებები მნიშვნელოვან წვლილს შეაქვს როგორც სტუდენტთა პროფესიული კომპეტენციების გაღრმავებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში, ასევე საერთაშორისო აკადემიური და კლინიკური გამოცდილების მიღებაში. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას, პროფესიულ ქსელებში ინტეგრაციასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებას.

- სტუდენტური გუნდების განვითარების ხელშეწყობა და სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერა

უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და მათი იდეებისა თუ პროექტების განხორციელებას აღნიშნულისთვის საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა კონკურსი სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების შესახებ, სადაც დაფინანსება მოიპოვა ორმა პროექტმა.

საანგარიშო პერიოდში დარეგისტრირდა 9 ახალი სტუდენტური კლუბი. უნივერსიტეტის მხარდაჭერით,არსებული და ახალი კლუბებისთვის ტარდებოდა საინტერესო შეხვედრები, ტრენინგები, მასტერკლასები და ჩემპიონატები. გარდა ამისა, სტუდენტურმა კლუბებმა მონაწილეობა მიიღეს 14 სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებაში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს უნივერსიტეტის ცნობადობის ზრდასა და სტუდენტთა გამოცდილების გამრავალფეროვნებას. უნივერსიტეტში არსებული გუნდები აქტიურად

მონაწილეობდნენ საქართველოს მასშტაბით გამართულ ჩემპიონატებში, ხოლო ქორეოგრაფიული და მუსიკალური გუნდები ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა სახის სადღესასწაულო და კულტურულ ღონისძიებებში.

პრიორიტეტული მიმართულება 6. უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება

დასახული პრიორიტეტის მიღწევისა და პრაქტიკაში განხორციელების მიზნით 2024-2025 აკადემიურ წელს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყო 6 ამოცანა და 18 ღონისძიება. აღნიშნულ პრიორიტეტულ მიმართულებაშიც არ იკვეთება ვერ შესრულებული ღონისძიება. ქვემოთ ამოცანების ჭრილში მოცემულია 2024-2025 აკადემიურ წელს შესრულებული ღონისძიებების აღწერა:

- ორგანიზაციის მართვა

უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია მის ორგანიზაციაში დასაქმებულ ადამიანზე მუდმივი ზრუნვა. აღნიშნულისთვის ორგანიზაციაში ყოველწლიურად ხორციელდება დასაქმებულებში კმაყოფილების კვლევა. 2023-2024 აკადემიური წლის ბოლოს ჩატარებული მაჩვენებლით, გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო ადმინისტრაციული პერსონალის 56%-მა, სადაც გამოკითხული ადმინისტრაციული პერსონალის 95.7% დაადასტურა კმაყოფილება უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის წესის დეტალური ანალიზი, რის საფუძველზეც შესაბამისი ცვლილებები აისახა დოკუმენტში – „საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი“. ამასთანავე, შემუშავდა სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის ახალი წესი, რომელიც მიზნად ისახავს პროცესების გამჭვირვალობის, თანასწორი ხელმისაწვდომობისა და ადმინისტრირების ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

აგრეთვე, უნივერსიტეტი აქტიურად აიდენტიფიცირებს თანამშრომელთა სამსახურიდან წასვლის მიზეზებს და უზრუნველყოფს შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრას. უნივერსიტეტმა 2024-2025 აკადემიურ წელს შეინარჩუნა პერსონალის გადინების მაჩვენებლით განსაზღვრული სამიზნე ნიშნული.

ორგანიზაციული კულტურისა და უნივერსიტეტის, როგორც კარგი დამსაქმებლის ბრენდის განვითარებისთვის, აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომელთა დაბადების დღეებისა და სხვა დღესასწაულების მილოცვა. დაბადების დღის მილოცვას თან ახლდა საჩუქრებით წახალისება. დაგეგმილი იყო გუნდური მუშაობის წამახალისებელი ღონისძიებები. 2023-2024 აკადემიური წლის ბოლოს, ჩატარებული კმაყოფილების კვლევის შედეგების საფუძველზე თანამშრომელთა 90.3% კმაყოფილი და ძალიან კმაყოფილია დამკვიდრებული ორგანიზაციული კულტურით.

- ადამიანური რესურსის (ადმინისტრაციული/აკადემიური/მოწვეული) მოზიდვა

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა საერთაშორისო და ადგილობრივი კადრების რეკრუტირების პროცესი. უნივერსიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა საერთაშორისო გამოცდილების მქონე 6 აკადემიურ პერსონალთან.

ადმინისტრაციული პერსონალის აყვანისთვის აქტიურად ვრცელდებოდა ვაკანსიები შესაბამის პლატფორმებზე. ვაკანტური პოზიციების დაკომპლექტება ხდებოდა 2 თვის ვადაში.

აქტიურად ხორციელდებოდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოსაზიდად კონკურსების გამოცხადება და საკომუნიკაციო არხებით გავრცელება. როგორც ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში, ისე აკადემიური პერსონალთან დაცული იყო პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგენილი სამიზნე ნიშნული.

- ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

უნივერსიტეტში დანერგილი თანამშრომელთა შეფასების წესი მიხედვით, 2024-2025 აკადემიურ წელს განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება. შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო პერსონალის 95%-მა. შეფასების პროცესში თანამშრომელთა 98.3% მიიღო დადებითი შეფასება. ასევე დაბალი შეფასების მქონე თანამშრომლებთან მიმართებით განხორციელდა შეფასების შედეგებზე უკუკავშირი. უნივერსიტეტის მხრიდან მაღალი შეფასები მქონე თანამშრომლებს გადაეცათ წამახალისებელი საჩუქრები.

უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია დასაქმებული ადამიანის მუდმივი კარიერული განვითარება. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი თანამშრომლობით გახორციელდა ტრენინგების სერიის შეთავაზება თემაზე: „ გენდერული მეინსტრიმინგი განათლებასა და მეცნიერებაში“. აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ადმინისტრაციული პერსონალის დაახლოებით 24%-მა.

ასევე უნივერსიტეტი აქტიურად უზრუნველყოფდა თანამშრომლების გაცვლით პროგრამებში ჩართვას. 2024-2025 აკადემიური წელს ინდივიდუალური მობილობის სქემის ფარგლებში 23 ადმინისტრაციული პერსონალი იღებდა მონაწილეობას.

- უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების განვითარება

საანგარიშო პერიოდში გურამიშვილის გამზირზე არსებული ახალი საუნივერსიტეტო კამპუსისთვის დასრულდა საინჟინრო/საპროექტო სამუშაოები. დასკვნით ეტაპზეა შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები. აღნიშნული კამპუსით სარგებლობა სავატერინარო მედიცინის სტუდენტებს შეეძლებათ მომდევნო აკადემიურ წელს.

- საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსების განვითარება

2024-2025 აკადემიურ წელს უნივერსიტეტმა განახორციელა 230 ახალი კომპიუტერის შეძენა. რაც შეეხება უნივერსიტეტის აღჭურვას ქსელური ინფრასტრუქტურით, განხორციელდა ტრამვატოლოგიისა და ვეტერინარიის კამპუსებში. ასევე, მოცემულ კამპუსებში აღარ გახდა საჭირო ახალ პროვაიდერის დამატება. იმავე პერიოდში, უნივერსიტეტის ტურნიკეტის არსებული სისტემა მოდიფიცირდა და დაემატა QR კოდის ფუნქციონალი.

- უნივერსიტეტის ორგანიზაციული განვითარება

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში აქტიურად მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები სტრუქტურული ერთეულებისა და ფაკულტეტების ჩართულობით. ასევე ხორციელდებოდა მუშაობა მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარების და გაძლიერების მიმართულებით. აღნიშნული ღონისძიებების მიზანი იყო უნივერსიტეტის მიერ

სასურველი სტუდენტთა მისაღები რაოდენობის ავტორიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

დანართი

დოკუმენტს თან ერთვის 2025 წლის სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში, სადაც დეტალურად არის ასახული აღნიშნული მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები.[3]

[3] შენიშვნა*- ვინაიდან ევროპის უნივერსიტეტის 2019–2025 წლების სტრატეგიის მოქმედების ვადა 2025 წლის დეკემბერში იწურებოდა, განისაზღვრა 4-თვიანი მოკლე სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეყრდნო მოქმედი სტრატეგიით განსაზღვრულ პრიორიტეტებსა და ამოცანებს.
დოკუმენტის შესავალსა და 2019–2025 წლების სტრატეგიით განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებში ინტეგრირებულია 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით არსებული მაჩვენებლები.